# ზუგდიდის მუნიციპალიტეტი

## საკონკურსო კომისიის სხდომის

## ო ქ მ ი №02

*ქ. ზუგდიდი* „19“ „07“ 2012 წელი

*სხდომას ესწრებოდნენ:*

➢ *კომისიის თავმჯდომარე:*

- ალექსანდრე ქობალია – ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგებელი;

➢ კომისიის წევრები:

- რუსლან კილასონია – გამგებლის მოადგილე;
- დარეჯან გაბედავა – გამგებლის მოადგილე;
- დავით ესებუა – ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ქალაქთმშენებლობისა და არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსი;
- ჯაბა არდია - კაპიტალური მშენებლობის სამსახურის უფროსი;
- ადამურ არქანია – მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის უფროსი;

➢ *კომისიის აპარატის წევრები:*

- ინდირა მელუა - გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების მთავარი სპეციალისტი.

## *დ ღ ი ს  წ ე ს რ ი გ ი:*

1. საკონკურსო კომისიის მიერ კონკურსის მეშვეობით ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობის საგანგებო სიტუაციების სამსახურის შენობის მშენებლობის და ეზოს კეთილმოწყობის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვის განხორციელების მიზნით სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში განთავსებული კონკურსის შედეგები (კონკურსის ნომერი: 565).

*მოისმინეს:* დღის წესრიგის საკითხთან დაკავშირებით საკონკურსო კომისიის აპარატის წევრმა (ი. მელუა) კომისიას მოახსენა, რომ 03.07.2012 წ. 12:27 სთ-ზე საკონკურსო წინადადება თანმხლებ დოკუმენტებთან ერთად წარმოადგინა ერთმა მონაწილემ – შ.პ.ს საპროექტო-სამშენებლო კომპანია „დიზაინ-დ“.

*განიხილეს:* კონკურსანტის შ.პ.ს საპროექტო-სამშენებლო კომპანია „დიზაინ-დ“-ს წარმოდგენილი დოკუმენტაცია.

*კომისიამ დაადგინა:*

1. ვინაიდან, შ.პ.ს, საპროექტო-სამშენებლო კომპანია „დიზაინ-დ“-ს მიერ წარმოდგენილი წარმოდგენილი დოკუმენტაცია სრულად შეესაბამება ჩვენს მიერ საკონკურსო განცხადებაში და დოკუმენტაციაში მითითებულ მოთხოვნებს, ამდენად შ.პ.ს საპროექტო-სამშენებლო კომპანია „დიზაინ-დ“ გამოცხადდეს გამარჯვებულად.

2. დაევალოს საკონკურსო კომისიის აპარატს (ი. მელუა) მოამზადოს ხელშეკრულება გამარჯვებულ პრეტენდენტთან შ.პ.ს საპროექტო-სამშენებლო კომპანია ,,დიზაინ-დ''-სთან გასაფორმებლად და გაფორმდეს არაუგვიანეს მ/წ 20 ივლისისა.
3. საკონკურსო კომისიის აპარატმა (ი. მელუა) უზრუნველყოს კომისიის გადაწყვეტილების პრეტენდენტისათვის წერილობით შეტყობინება, წინამდებარე სხდომის ოქმის და კონკურსთან დაკავშირებული სხვა სახის დოკუმენტაციის სსიპ ,,სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო''-სთვის გამოსაქვეყნებლად გაგზავნა.

<u>*კომისიის წევრები:*</u>

1. ალექსანდრე ქობალია; 5. ჯაბა არდია;

2. რუსლან კილასონია; 6. ადამურ არქანია;

3. დარეჯან გაბედავა;

4. დავით ესებუა;

<u>*აპარატის წევრები:*</u>

1. ინდირა მელუა.